



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„კავკასიონი“

ჟურნალი, ხელოვნებისა და მეცნიერების ყოველთვიური კრებული, ქართველ სტუდენტთა ეროვნული გაერთიანებითიანებისა და ქართველ მწერალთა ერთობლივი გამოცემა. გამოდიოდა 1929–86 პერიოდში. სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ ვ. ნოზაძე, გ. ყიფიანი, ე. პაპავა, ა. და თ. პაპაევი, ი. მანუკაძე. ჟურნალის მხატვარი იყო მ. ბილანიშვილი. გამოცემასთან თანამშრომლობდნენ: ს. ბერეჟიანი, ე. თაყაიშვილი, ვ. ნოზაძე, შ. ამირეჯიბი, რ. არსენიძე, ა. ცომაია, მ. ხუნდაძე, რ. ივანიცკი-ინგილო. მრავალი მათგანი ფსევდონიმითაც იბეჭდებოდა. მრავალფეროვანია ჟურნალში დაბეჭდილი სტატიების ჟანრობრივი თემატიკა. იგი მოიცავს საქართვე. ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნებათმცოდნეობის, მუსიკის, გეოპოლიტიკის, საერთაშ. სამართლის საკითხებს. ჟურნალის ნომრები ინახება გ. შარაძის კერძო კოლექციაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ქართული ემიგრაციის მუზეუმში.

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 3, თბ., 2003.

თ. დოლიძე
